თუკი სხვა ქვეყანაში „კარგად მოეწყვე“ არ არის მნიშვნელოვანი საკუთარ სამშობლოში ცხოვრობ თუ არა

თანამედროვე სამყაროში, როცა მიგრაცია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხშირად ისმის აზრი, რომ თუ ადამიანი უცხო ქვეყანაში თავს კომფორტულად გრძნობს და წარმატებას აღწევს, სამშობლოს მნიშვნელობა ქრება. ერთი შეხედვით, ეს მოსაზრება ლოგიკურადაც შეიძლება ჟღერდეს, თუმცა რეალურად საკითხი გაცილებით ღრმა და რთულია. ბევრისთვის უცხო ქვეყანა იქცა წარმატების, სტაბილურობისა და უკეთესი ცხოვრების სიმბოლოდ. თითქოს საკმარისია ფინანსურად მყარად დადგე, გქონდეს მშვიდი გარემო და შენი ცხოვრება უკვე სრულყოფილია. მაგრამ მართლა ასე მარტივია? ნუთუ ადამიანი მხოლოდ კომფორტით საზრდოობს? ნუთუ საკმარისია სხეული იყოს მშვიდად, რომ სულიც დამშვიდდეს? ერთი შეხედვით, ეს მოსაზრება საკმაოდ ლოგიკურია. როდესაც ადამიანი ტოვებს საკუთარ ქვეყანას და სხვა ქვეყანაში აღწევს წარმატებას, პოულობს კარგ სამსახურს, იძენს მატერიალურ უზრუნველყოფას, ცხოვრობს უსაფრთხო და განვითარებულ გარემოში, ბუნებრივია, რომ თავს უკეთ იგრძნობს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერება არ არის დამოკიდებული კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეზე. ადამიანი ხომ იქ ქმნის ცხოვრებას, სადაც უკეთეს პირობებს პოულობს. ამ თვალსაზრისით, თითქოს მართლაც ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, ხარ თუ არა საკუთარ სამშობლოში, მთავარია, როგორ ცხოვრობ.

თუმცა, ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. ადამიანის ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ყოველდღიური კომფორტითა და მატერიალური კეთილდღეობით. არსებობს რაღაც უფრო ღრმა, უფრო უხილავი კავშირი, რომელსაც ვერავინ ხედავს, მაგრამ რომელიც მუდმივად მოქმედებს ადამიანის შინაგან სამყაროზე. ეს არის სამშობლოსთან კავშირი, ენა, რომელიც ბავშვობიდან გვესმის, ქუჩები, სადაც პირველად გავირბინეთ, ადამიანები, რომლებთანაც ჩვენი მოგონებებია გადაჯაჭვული. სამშობლო არის ადგილი, სადაც ადამიანი არ ცდილობს თავი დაიმკვირდროს რადგან ის უკვე მისი ნაწილია.

სწორედ ამ შინაგანი კონფლიქტის საუკეთესო გამოხატულებაა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“. მთავარი პერსონაჟი, ელი, თითქოს უკვე მოწყობილია უცხო გარემოში, ის ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, აქვს ყოველდღიური ყოფა, თითქოს გარედან არაფერი აკლია. მაგრამ მისი სული სრულიად სხვა რეალობაში ცხოვრობს. მასში მუდმივად იღვიძებს მონატრება, სიცარიელე, გაურკვეველი ტკივილი, რომელსაც ვერანაირი კომფორტი ვერ აქრობს. სწორედ ელის მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ადამიანი შეიძლება ფიზიკურად იყოს კარგად, მაგრამ სულიერად სრულიად დაკარგული. ის ჰგავს ხეს, რომელიც სხვა მიწაში გადარგეს, შეიძლება გარედან ისევ იდგეს, მაგრამ ფესვები ნელ-ნელა სუსტდება, რადგან ის მიწა აღარ არის რომელიც სიცოცხლეს აძლევდა. სწორედ ამიტომ ელის ტკივილი იმდენად მძაფრია რომ ის ვერ პოულობს საკუთარ თავს იმ გარემოში სადაც თითქოს ყველაფერი აქვს.

ამ ყველაფრიდან ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ „კარგად მოწყობა“ არ არის საკმარისი. ადამიანს სჭირდება არა მხოლოდ კომფორტი, არამედ შინაგანი სიმშვიდე, რომელიც ხშირად სწორედ სამშობლოსთან კავშირშია. შეიძლება ადამიანი დროებით შეეგუოს უცხო გარემოს, ისწავლოს იქ ცხოვრება, იპოვოს წარმატებაც კი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი სული სრულად დამშვიდდება. არსებობს მონატრება, რომელიც დროით არ ქრება, არსებობს ადგილი, რომელსაც ვერავინ ჩაანაცვლებს. სწორედ შენს სამშობლოშია შენი საყვარელი ადგილი, კაფე, საჭმელი...

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგ შემთხვევაში ადამიანი უფრო ბედნიერიც კი ხდება უცხო ქვეყანაში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ახერხებენ ახალ გარემოსთან სრულად შეგუებას და იქ პოულობენ საკუთარ ადგილს. მაგრამ ეს ინდივიდუალურია და არ შეიძლება ზოგად ჭეშმარიტებად იქცეს. ბევრისთვის სამშობლო რჩება იმ ღირებულებად, რომლის დაკარგვაც ვერაფრით კომპენსირდება.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ მოსაზრება „თუ სხვა ქვეყანაში კარგად მოეწყვე, მნიშვნელობა არ აქვს საკუთარ სამშობლოში ხარ თუ არა“ მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. ის ეხება ადამიანის ცხოვრების მატერიალურ მხარეს, მაგრამ სრულიად უგულებელყოფს მის სულიერ ბუნებას. ადამიანი არ არის მხოლოდ არსებობა ის არის გრძნობა, მოგონება, კავშირი. და სწორედ ეს კავშირი, რომელიც სამშობლოსთან გვაქვს, ხშირად ყველაზე ძლიერად განსაზღვრავს ჩვენს ბედნიერებას.

ამიტომაც, რამდენადაც არ უნდა იყოს უცხო ქვეყანა კომფორტული და წარმატებით სავსე, სამშობლო მაინც რჩება იმ ადგილად, სადაც ადამიანი საკუთარ თავს ყველაზე სრულად გრძნობს არა იმიტომ, რომ იქ ყველაფერი იდეალურია, არამედ იმიტომ, რომ იქ არის მისი ფესვები, მისი ისტორია და მისი სული.

მარიამ გოჩაშვილი